Rechtsstandort
Hamburg e.V.

შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, სამართლებრივ სახელმწიფოთა დიალოგისა და დემოკრატიის განმტკიცების მიზნით, მართლმსაჯულების მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად,

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და ჰამბურგის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს (მე-2 ინსტანცია), პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლოს, სამხარეო სოციალური სასამართლოს (მე-2 ინსტანცია) და პირველი ინსტანციის სოციალური სასამართლოს (გაერთიანება „სამართლის ქალაქი ჰამბურგი რეგისტრირებული კავშირი"-ს ქოლგის ქვეშ) შორის პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად,

სასამართლო ადმინისტრირებისა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე სასამართლოებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით,

საქართველოს უზენაესი სასამართლო და ჰამბურგის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო (მე-2 ინსტანცია), პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლო, სამხარეო სოციალური სასამართლო (მე-2 ინსტანცია) და პირველი ინსტანციის სოციალური სასამართლო, გაერთიანება „სამართლის ქალაქი ჰამბურგი რეგისტრირებული კავშირი"-ს ქოლგის ქვეშ თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

სასამართლოები გამოთქვამენ მზადყოფნას, თავიანთი თანამშრომლობით მხარი დაუჭირონ საქართველოში მართლმსაჯულების მიმდინარე რეფორმების განხორციელებას.

მუხლი 2.

1. მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და საქართველოში ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განვითარებისა და გაძლიერების კუთხით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონალური პროგრამის „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება" ხელშეწყობით. ამ პარტნიორულ ურთიერთობაში უნდა ჩაერთოს ყველა ინსტანციის სასამართლო და ამასთან, ის უნდა ემსახურებოდეს მოსამართლეებს შორის პირდაპირი დიალოგის წარმართვას. თანამშრომლობის

ფარგლებში განსაკუთრებით უნდა განხორციელდეს შემდეგი თემების ერთობლივი დამუშავება:

- მატერიალური და ფორმალური ადმინისტრაციული სამართალი
- სასამართლო სხდომის მართვა
- სასამართლოს ორგანიზაციული მოწყობა და მენეჯმენტი
- სასამართლო პრაქტიკების შედარება
- იურიდიული მომზადება და გადამზადება ადმინისტრაციულ სამართალში

2. თანამშრომლობა დიალოგთან ერთად მოიცავს ტრენინგებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ორგანიზაციულ კონსულტაციებს და ორმხრივ ვიზიტებს. თანამშრომლობის დეტალები და კონკრეტული საკითხები შეთანხმდება სისტემატურ სამუშაო შეხვედრებზე და ასახვას ჰპოვებს წლიურ გეგმაში, რომელიც შეთანხმებული და ინტეგრირებულ უნდა იქნეს საქართველოში GIZ-ის პროგრამის წლიურ გეგმაში.

3. დაძმობილებული სასამართლოები დაგეგმილ და მიმდინარე ღონისძიებებს ათანხმებენ ერთმანეთში და GIZ-თან და ახორციელებენ მათ საკუთარი პასუხისმგებლობით. ყოველი სასამართლო, რომელიც ჩართული იქნება ამ თანამშრომლობაში, დაასახელებს საკონტაქტო პირს (რომელიც კარგად უნდა ფლობდეს გერმანულ ან ინგლისურ ენებს) ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 3

ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, ურთიერთთანამშრომლობით წვლილი შეიტანოს შეთანხმების მიზნების განხორციელებაში. დაძმობილებულ სასამართლოებს შეუძლიათ ამ თანამშრომლობაში აგრეთვე ჩართონ მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტები და მათი თანამშრომლები, მაგ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჰამბურგის მხარე შეეცდება აგრეთვე ითანამშრომლოს სხვა პარტნიორებთან და ჩართოს ისინი ამ ერთობლივ პროექტში. ეს პარტნიორები შეიძლება იყვნენ ადვოკატები, ნოტარიუსები, უნივერსიტეტები.

მუხლი 4

ამ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფინანსური მხარდაჭერის საფუძველი არის GIZ-ის მიერ ამ თანამშრომლობის პროექტის ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა. სასამართლოებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, როგორც წესი, არ არის ანაზღაურებადი.

Rechtsstandort
Hamburg e.V.

მუხლი 5.

1. თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
2. შეთანხმება შეიძლება გაგრძელდეს ორივე მხარის თანხმობის პირობებში.
3. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, დროულად აცნობოს ერთმანეთს ცვლილებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ თანამშრომლობისთვის.

მუხლი 6.

1. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2015 წლის 2 ივლისს. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
2. შეთანხმება შედგენილია ქართულ და გერმანულ ენებზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ-ორ ეგზემპლარად.

თარიღი: თბილისი, 2015 წლის 2 ივლისი

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ჰამბურგის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს, გაერთიანება „სამართლის ქალაქი ჰამბურგი რეგისტრირებული კავშირის“ თავმჯდომარე

ჰამბურგის სამხარეო სოციალური სასამართლოს თავმჯდომარე